განკარგულება:**g-87.87221525**
თარიღი:**01/06/2022**

განკარგულება №13

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ დუისში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 162.52 კვ.მ ფართობის ა(ა)იპ „როდი სკოტის სახელობის ფონდი საქართველო“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას - განახორციელოს **სოფელ დუისში მდებარე შენობის** (საკადასტრო კოდი - 50.06.33.547) **მეორე სართულზე არსებული 162.52კვ.მ ფართობის ა(ა)იპ „როდი სკოტის სახელობის ფონდი საქართველო“-სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი - 424611101) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემა.**

2. დამტკიცდეს განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული უძრავი ქონების:

   ა) სარგებლობის უფლებით გადაცემის წლიური ქირის საფასური - 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით;

   ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 5 წელი.

3. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი